ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3616819

ნომერი: AR1549629

თარიღი : 16.10.2017

გაცემის თარიღი : 17.10.2017

გაცნობის თარიღი : 17.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 1 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ალ. ყაზბეგის გამზირი N1-სა და გამსახურდიას გამზირი N36-ის საცხოვრებელ სახლებს შორის; ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 1 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ალ. ყაზბეგის გამზირი N1-სა და გამსახურდიას გამზირი N36-ის საცხოვრებელ სახლებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ მაჭავარიანი პ/ნ 01008023070
- თბილისი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017

წლის 16 ოქტომბრის №3609244 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 16 ოქტომბრის №AR1549629 განცხადებით მომართა მოქ. თამარ მაჭავარიანმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 16 ოქტომბრის №3609244 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 ოქტომბრის №3609244 გადაწყვეტილებით გაიცა ნებართვა, ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დავით აღმაშენებელის გამზირზე, N86-ში, ქალაქ თბილისში, სანქტპეტერბურგის ქუჩის N1-ში, (ყოფ. N90)-ის მიმდებარედ არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის წინ, დროებითი საზაფხულო კაფეს განთავსების მიზნით.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ამავე გადაწყვეტილებაში საპროექტო ობიექტის მისამართად დაფიქსირებულია: ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, დავით აღმაშენებელის გამზირი, N86; ქალაქი თბილისი, ქუჩა სანქტპეტერბურგი, N1 (ყოფ. N90)-ის მიმდებარედ არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის წინ, ხოლო განმცხადებელი განმარტავს, რომ საპროექტო ობიექტის მისამართად უნდა დაფიქსირებულიყო ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი N1-სა და გამსახურდიას გამზირი N36-ის საცხოვრებელ სახლებს შორის.
სამსახურმა 2017 წლის 16 ოქტომბრის №AR1549629 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა შეადარა სამსახურის 2017 წლის 16 ოქტომბრის №3609244 გადაწყვეტილებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 16 ოქტომბრის №3609244 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 ოქტომბრის №3609244 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საპროექტო ობიექტის მისამართად დაფიქსირდეს: ქ.თბილისი საბურთალოს რაიონი, გამზირი ალ. ყაზბეგი N1-სა და გამსახურდიას გამზირი N36-ის საცხოვრებელ სახლებს შორის.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 ოქტომბრის №3609244 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 ოქტომბრის №3609244 გადაწყვეტილებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.